

დამტკიცებულია
შპს სკოლა გიმნაზია „პირველი“
დირექტორის მიერ
ბრ.2-72 .08.09.2020



სადამრიგებლო პროგრამა

შპს სკოლა-გიმნაზია პირველი

შპს სკოლა-გიმნაზია პირველის სადამრიგებლო პროგრამები გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და სკოლის მისიიდან და ემსახურება ამ სამი დოკუმენტის მიზნებისა და მიზნობრივი პრიორიტეტებისა თუ პრინციპების განხორციელებას.

სკოლის სადამრიგებლო პროგრამების მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლეების გონებრივი და ფიზიკური განვითარებას, მათ ჩაბმას სხვადასხვა აქტივობებში. ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას. დაეხმაროს მათ, გააცნობიერონ საკუთარი უფლება-მოვალეობები ოჯახისა და სახელმწიფოს წინაშე.

სკოლის სადამრიგებლო პროგრამის პრიორიტეტებია:

- ჯანსაღი ცხოვრება;
- ტოლერანტობა;
- ჰუმანიზმი
- პატრიოტიზმი
- გარემოს დაცვა
-

დამრიგებლის მუშაობის მიზანია:

- ა) დაეხმაროს მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში;
- ბ) ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;
- გ) განუვითაროს მათ დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერება.

სადამრიგებლო პროგრამები მიზნების მისაღწევად დამრიგებელი მართავს მოსწავლეებთან საუბრებს და დისკუსიებს მათთვის საინტერესო თემებზე. მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე შემოქმედებითი და მიზნობრივი ღონისძიებების, ექსკურსიებისა და ლაშქრობების ორგანიზებას, შეხვედრებს ცნობილ ადამიანებთან და სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციებში სტუმრობას.

დამრიგებლის მუშაობა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- ა) სრულფასოვანი აღზრდა
- ბ) მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა
- გ) მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძობის განვითარება
- დ) თანამშრომლობის პრინციპი

კლასის დამრიგებლის მოვალეობებია:

1. გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.);
2. დანყებით საფეხურზე ჩაატაროს სადამრიგებლო საათი არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ, საბაზო-საშუალო საფეხურებზე - არანაკლებ თვეში ერთხელ.
3. დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური თუ სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში;
4. იყოს შუამავალი მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში;
5. რეგულარულად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვისი თანდასწრებით საუბარი;
6. საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია;
7. სასწავლო წლის ბოლოს გააკეთოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის აკადემიური მიღწევის, გაკვეთილებზე დასწრებისა და ქცევის ანალიზი მასწავლებლებისგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და დაწეროს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება. დახასიათებაში აღწერილი უნდა იყოს მოსწავლის ძლიერი მხარეები, მისი წარმატებები როგორც აკადემიური, ასევე სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, მოსწავლის მონაწილეობა წრეებში, სპორტულ შეჯიბრებებსა თუ სხვა სახის ღონისძიებებში; დახასიათებაში ასევე გაანალიზებული უნდა იყოს ყველა ის საკითხი, რომელიც მნიშვნელოვანია (ან არსებითია) მოსწავლის კოგნიტური (შემეცნებითი), ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარებისათვის. ეს ინფორმაცია ყოველწლიურად უნდა მიწოდდეს მშობელს კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმით (პირადი შეხვედრისას, ელექტრონული ფოსტის საშუალებით და სხვ.) და შინახოს თავადაც შემდგომი დაკვირვების მიზნით;
8. მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, დამრიგებელმა უნდა მოამზადოს ინფორმაცია მისი აკადემიური მიღწევისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ მოსწავლის პირად საქმეში შესატანად;

სადამრიგებლო საათი

დამრიგებლის უშუალო ურთიერთობების დრო თავის აღსაზრდელებთან.

დამრიგებლის კლასთან მუშაობა მიმდინარეობს სხვადასხვა ფორმით.

სადამრიგებლო საათი შეიძლება ჩატარდეს როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთაც.

მაგ: ექსკურსიაზე, მუზეუმში ვიზიტისას და სხვა.

სადამრიგებლო საათის ბოლოს აუცილებელია მოსწავლეებისგან უკუკავშირის მიღება:

რა გაიგეს და ისწავლეს მათ ამ შეხვედრაზე? რა იყო მათთვის განსაკუთრებით

საინტერესო

სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს შემდეგ მიმართულებებზე:

- პიროვნული და მორალური განვითარება;
- გარემოსდაცვითი კულტურის განვითარება;
- მენარმეობის უნარების განვითარება;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია;
- უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია;
- მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერების ამაღლება;

დამრიგებელმა, დაწყებით კლასებში (I-IV კლასები) სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლის ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს სხვადასხვა უნარის განვითარებაზე:

- ა) კითხვის ტექნიკის გაძლიერებით;
- ბ) წაკითხულის განხილვა-გააზრებით;
- გ) ანალიზის უნარის განვითარებით;
- დ) მსჯელობის უნარის განვითარებით;
- ე) პრეზენტაციის უნარის განვითარებით;
- ვ) შემოქმედებითი უნარების განვითარებით და სხვ.

საბაზო და საშუალო საფეხურებზე, სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში განხილულ უნდა იქნას პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის, ცხოვრების ჯანსაღი წესისა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარების ხელშემწყობი თემატიკა.

I-XII კლასებში, **დამრიგებლის საათზე ასაკის შესაბამისად ჩატარდება**, სკოლის ექიმის საუბრები, ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად, პირადი ჰიგიენის შესახებ.

- ჰიგიენა - პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის დაცვა, პირველი დახმარების ძირითადი ჩვევების ცოდნა;
- გარე სამყაროს უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ჯანმრთელობაზე მისი ზემოქმედების შესწავლა;
- მავნე ჩვევებზე (თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარება) უარის თქმა;
- კვება - ზომიერი, ინდივიდუალური, ფიზიოლოგიური, თავისებურებების შესაბამისი, აგრეთვე - ინფორმირებულობა გამოსაყენებელი პროდუქტების ხარისხიანობის შესახებ;
- მოძრაობა - ფიზიკურად აქტიური ცხოვრება, დღის რეჟიმში სპეციალური ფიზიკური ვარჯიშების ჩართვა.

დაზუსტებულისადამრიგებლო პროგრამა საფეხურების მიხედვით	თემები
დაწყებითი საფეხური	1. ქცევის წესები; 2. ზაფხულის შთაბეჭდილებები; 3. მოლოდინები და სურვილები;

	<p>4. გარესამყარო;</p> <p>5. რა გვეხმარება კარგად სწავლაში;</p> <p>6. ქუჩაში მოძრაობის წესები;</p> <p>7. ავადმყოფობის გავრცელების წყაროები;</p> <p>8. მე და ჩემი მეგობარები;</p> <p>9. „მოვიარე საქართველო“</p> <p>10. საკლასო წესების შემუშავება. მოსწავლის მოვალეობები და უფლებები;</p> <p>11. ეკოლოგია, ჩვენი გარემო, სისუფთავეზე ზრუნვა. ქალაქში სისუფთავის დაცვა;</p> <p>12. როგორ გავუფრთხილდეთ საკუთარ ჯანმრთელობას. მაგნე ჩვევების გაცნობა;</p> <p>13. პატიების უნარის მნიშვნელობა ურთიერთობებში;</p> <p>14. ბავშვთა უფლებები და მოვალეობები;</p> <p>15. ჩვენ შეგვიძლია კონფლიქტების მოგვარება;</p> <p>16. გასართობი საშუალებები: კომპიუტერული თამაშები, ინტერნეტი;</p> <p>17. შევიყვართ წიგნის კითხვა</p> <p>18. ჩვენი ქალაქი, ქვეყანა, სახელმწიფო</p> <p>19. რა გვეხმარება და რა გვიშლის ხელს ვალდებულებების შესრულებაში?</p> <p>20. „მე და ჩემი ემოციები“</p> <p>21. ტოლერანტობა - “ჩემი კლასის ცისარტყელა“</p> <p>22. „ახალი წელი მსოფლიოში“</p> <p>23. ჩვენი ოცნებები</p> <p>24. ჯადოსნური სიტყვები</p> <p>25. პიროვნული და მორალური განვითარება</p> <p>26. ისტ ტექნოლოგიების დანიშნულება საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მისი უსაფრთხოდ გამოყენების წესები</p> <p>27. დევნილები საქართველოში</p> <p>28. მცირე ბიზნესი და მენარმეობა</p> <p>29. „გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის რესურსი“</p> <p>30. „ჩვენ მკითხველები“</p> <p>31. კეთილი საქმეების კეთებით პატივისცემას ვიმსახურებთ</p> <p>32. გოგოები და ბიჭები</p> <p>33. სტუმრად ეთნოგრაფიულ მუზეუმში</p> <p>34. ჩვენ შეგვიძლია კონფლიქტების მოგვარება</p>
<p>საბაზო საფეხური</p>	<p>1. ქცევის წესები;</p> <p>2. ზაფხულის შთაბეჭდილებები;</p> <p>3. მოლოდინები და სურვილები;</p> <p>4. ბავშვთა უფლებები და მოვალეობები;</p> <p>5. გასართობი საშუალებები: კომპიუტერული თამაშები, ინტერნეტი;</p>

	<ol style="list-style-type: none"> 6. ადამიანი და საზოგადოება; 7. კანონმორჩილი, ტოლერანტი ადამიანი; 8. ჩვენი მომავალი ჩვენს ხელშია; 9. კულტურა და რელიგია; 10. რას გვიამბობს საქართველოს მინა; 11. დედამინა-SOS; 12. ჰუმანიზმი ქრისტიანულ კულტურაში; 13. პატრიოტიზმი; 14. ტრადიციები და თანამედროვეობა; 15. ტექნოლოგიური მიღწევები და თანამედროვე საზოგადოება; 16. გენდერული თანასწორობა; 17. საზოგადოებაში ქცევის კულტურა; 18. ცხოვრების ჯანსაღი წესი; 19. გლობალიზაცია; 20. სამენარმეო (ეკონომიკური) საქმიანობის სფეროები და სახეები. 21. სკოლა, ოჯახი, საზოგადოება; 22. საქართველოს დაცული ტერიტორიები 23. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ადამიანები ჩვენს გვერდით 24. რას ნიშნავს ვიყო მენარმე 25. ადამიანი და ემოცია 26. უნდა გვეშინოდეს თუ არა კრიტიკის 27. მოსწავლე და თანამედროვე სკოლა
<p style="text-align: center;">საშუალო საფეხური</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ტექნოლოგიური მიღწევები და თანამედროვე საზოგადოება 2. მულტიკულტურიზმი 3. კულტურა და ხელოვნება და მათი გავლენა პიროვნული ჩამოყალიბების გზაზე 4. სკოლა, ოჯახი, საზოგადოება 5. გენდერი; 6. გლობალიზაცია და მისი თანმხლები პროცესები; 7. ქსენოფობია; 8. კულტურათა დიალოგი; 9. თანამედროვე სკოლა; 10. პროფესიები; 11. მომავალი პროფესია. 12. ცხოვრების ჯანსაღი წესი. 13. ვირჩევთ პროფესიას. 14. გარემოს დაცვითი კულტურა და ეკოცნობიერება. 15. პიროვნული და მორალური განვითარება. 16. სწავლის პრობლემები და მისი გადაჭრის გზები. 17. მცირე ბიზნესი და მენარმეობა. 18. მენარმეობის განვითარება 19. შეზღუდული უნარების მქონე პირების სოციალიზაცია

დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამის თემებიდან გამომდინარე განერილია ცალკეული კლასების სადამრიგებლო პროგრამები.